სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება № 206

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შედეგად

ქ. ბათუმი 03 მაისი 2023 წ.

ერთი მხრივ, **შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) (ს.კ 245435514) წარმოდგენილი მისი დირექტორის სოლომონ ფუტკარაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „პსპ ფარმა“** (ს/კ202203123) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ოქრიაშვილის (პ/ნ15001003000) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის (**SMP230001241**) საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,შესყიდვის ობიექტი/საქონელი''- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

2.2. კლასიფიკატორის cpv კოდი: 33600000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **362,88** (სამას სამოცდაორი ლარი და 88 თეთრი) ლარს;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების (რომელსაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დროს) აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ერთჯერადად;

5.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მოწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან;

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სათანადოდ უფლებამოსილი პირი;

5.4. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის/საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია - შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"-ს მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების მარაგების ხელმძღვანელი, ნინო ფუტკარაძე;

5.5. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, აცნობოს მიმწოდებელს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის/საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი (ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. #2/პუშკინის ქ. 164, აფთიაქი);

6.2. შესყიდვის ობიექტის/საქონლის შეკვეთის განხორციელება მოხდება შემსყიდველის პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით (წერილობითი ფორმით, სატელეფონო კომუნიკაციის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შესყიდვის ობიექტის რაოდენობის მითითებით);

6.3. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან *არაუგვიანეს 2023 წლის 05 მაისის ჩათვლით პერიოდში.*

7. გარანტია

7.1. შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართში (ფასების ცხრილი) მითითებულ ტექნიკურ მახასიათებლებს;

7.2. შესყიდვის ობიექტს გააჩნია ვარგისიანობის ვადა მიწოდების მომენტიდან არანაკლებ 12 თვე;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესყიდვის ობიექტის შესახებ მისთვის საჭირო დოკუმენტი;

გ) საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა შესაბამისი სამსახურის მეშვეობით. ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ფასების ცხრილის (დანართი #1) შესაბამისად;
გ) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი - შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“-ს მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების მარაგების უფროსი, ნინო ფუტკარაძე;
9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს;
9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
10.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
10.3. მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების არაჯეროვნად (შესყიდვის ობიექტის ნაწილის არასათანადო ხარისხით ან სხვა პირობების დარღვევისათვის) შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4 %–ის ოდენობით;
10.4. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა მიმწოდებლის მიერ გადახდილი უნდა იქნას აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, შემსყიდველის გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს თანხის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი ღირებულებიდან;
10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
10.6. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის ღირებულების 0,01 %-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

11.1. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
ა) იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს;
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.5. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში;
გ) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, (რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველ ორგანიზაციასთან) ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-6 ან მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

11.2. ამ მუხლის 11.1 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება, მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ცვლილებების გარდა;

12.2. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდეგ;

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ;

12.4.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით;

12.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე, რომელიც ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ელექტრონული ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
მის: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №2/ა.
პუშკინის ქ. 164
ს/კოდი: 245435514
ბანკის დასახელება - სს „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი - BAGAGE22
ანგარიშის ნომერი - GE23BG0000000533872585

"BATUMI REPUBLICAN CLINICAL HOSPITAL" LLC
Digitally signed by "BATUMI REPUBLICAN CLINICAL HOSPITAL" LLC
Date: 2023.05.03 12:58:59 +04'00'

დირექტორი
სოლომონ ფუტკარაძე

„მიმწოდებელი“

შპს „პსპ ფარმა“
იურ. მის: დმანისი, იაკობ ცურტაველის ქ., N54;
ანგარიშის № GE26TB0677136020100007
ს/კოდი:202203123
მიმღები ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ელ.მის: vasikogirdaladze@gmail.com

PSP PHARMA LLC
Digitally signed by PSP PHARMA LLC
Date: 2023.05.03 13:30:10 +04'00'

დირექტორი
ვაჟა ოქრიაშვილი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№206 ხელშეკრულების დანართი #1

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება/ტექნიკური მახასიათებელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	Metronidazolum მეტრონიდაზოლ-სეე5მგ/მლ 100 მლ #40 (Samarkand Ecome)	ფლაკონი	480	0,756	362,88
2			**საერთო ჯამი**		**362,88**

შპს „პსპ ფარმა“

ს.კ. 202203123